ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი
„ინტელექტი“

# პრესრელიზი

2016 წლის 15 ივნისს, 15 საათზე სოფლის განვითარების რეგიონული სტრატეგიის საბჭოს სამუშაო შეხვედრა გაიმართება. შეხვედრაში მონაწილეობას მიიღებენ მუნიციპალიტეტების მმართველი ორგანოების წარმომადგენლები, მოწვეული ექსპერტები და სხვა, სოფლის განვითარების საკითხებით დაინტერესებული მოქალაქეები.

სამუშაო შეხვედრაზე მონაწილეები მიიღებენ ინფორმაციას და გაიმართება მსჯელობა შემდეგ საკითხებზე:

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის შემუშავებასთან დაკავშირებით მიმდინარე პროცესები;

საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარებისთვის ევროპის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სამეზობლო პროგრამის ENPARD II და ENPARD III-ის ფაზების მიმდინარეობასთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები;

საქართველოში სოფლის მეურნეობის განვითარების სტრატეგიის შემუშავება-განხორციელების, აგრეთვე ევროპის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სამეზობლო პროგრამიდან დაფინანსების მიღებასთან დაკავშირებული ინსტიტუციური გადაწყვეტილებები ქვეყნის დონეზე და შესაძლო გადაწყვეტილებები აჭარის არ-ში;

სახელმწიფო მიდგომები განვითარების საშუალო ვადიანი სტრატეგიებისა და გეგმების შემუშავებასთან დაკავშირებით და ვითარება აჭარაში;

სოფლის განვითარების ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფების შექმნისა და ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის შემუშავების ევროპული მიდგომები და მაგალითები საქართველოში;

ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფების შექმნა და ადგილობრივი განვითარების სტრატეგიების შემუშავება აჭარის მუნიციპალიტეტებში: არსებული ვითარება მუნიციპალიტეტებში და მუნიციპალიტეტების დამოკიდებულება;

ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფის შექმნისა და ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის პირველი მაგალითი აჭარაში: მიდგომები, მიღწევები და გამოწვევები;

აჭარის სოფლის განვითარების სტრატეგიის განსახორციელებლად, ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფების შესაქმნელად და ევროპის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სამეზობლო პროგრამა ENPARD II-ის ფარგლებში დაფინანსების მისაღებად აჭარის არ-ის სტრუქტურების უახლოესი ნაბიჯები და გადაწყვეტილებები.

შეხვედრას გაუძღვება ექსპერტი სოფლად განვითარების საკითხებში ზვიად არჩუაძე.

შეხვედრის ორგანიზატორია **ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“.**

**მისამართი: ბათუმი, რუსთაველის 28.**
**სასტუმრო „შერატონი“, მცირე საკონფერენციო დარბაზი.**


<u>დამატებითი ინფორმაციის მისაღებად დაგვიკავშირდით:</u>
ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“
ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. # 18
ტელ.: 241640; 241650; 599 18 50 98
ელ. ფოსტა: teona@intellect.org.ge



*პროექტი ხორციელდება ევროკავშირისა და გაეროს განვითარების პროგრამის ფინანსური მხარდაჭერით.*